

კავკასიოლოგთა III საერთაშორისო კონგრესი
„მულტიკულტურალიზმი და ტოლერანტობა კავკასიაში“

23-26 ოქტომბერი, 2013

კავკასიოლოგთა III საერთაშორისო კონგრესი
„მულტიკულტურალიზმი და ტოლერანტობა კავკასიაში“



ორგანიზატორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
კავკასიოლოგიის ინსტიტუტი

ჩატარების ადგილი: თბილისი, საქართველო

ჩატარების თარიღი: 23-26 ოქტომბერი, 2013 წ.

კონგრესის მიზანი

კავკასიოლოგთა III საერთაშორისო კონგრესის „მულტიკულტურალიზმი და ტოლერანტობა კავკასიაში“ მიზანია კავკასიის, როგორც მულტიკულტურალიზმის თვალსაზრისით განსაკუთრებული რეგიონის, შესახებ არსებული ცოდნის გაღრმავება და სამეცნიერო დისკუსიის მოწყობა; რეგიონში ამ მიმართულებით მოღვაწე მკვლევართა ინტეგრაცია;

კავკასიელი ხალხების ერთობის ლინგვოკულტურული მოდელის სამი ძირითადი კომპონენტის გამოკვეთა:

1. იბერიულ-კავკასიური, 2. არეალურკავკასიური, 3. ტიპოლოგიური კვლევა.

კონგრესის თემატიკა განისაზღვრება კავკასიის ენობრივ-კულტურული მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობის ჭრილში:

1. კავკასია: თვითმყოფადობა, იდენტობა
2. კავკასიის ხალხთა ტრადიციული კულტურა და ადამიანის უფლებების ურთიერთმიმართების საკითხები
3. კავკასიის ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნება და ტოლერანტობა
4. კავკასიის კულტურული მრავალფეროვნება და მსოფლიო გლობალიზაცია

ზემოხსენებული საკითხები არ ზღუდავს სხვა კავკასიოლოგიურ თემატიკას, რომელიც შეიძლება განხილულ იქნეს კონგრესზე გასატანად.

კავკასიოლოგთა III საერთაშორისო კონგრესი
„მულტიკულტურალიზმი და ტოლერანტობა კავკასიაში“
23-26 ოქტომბერი, 2013

მიმართულება

- ენათმეცნიერება
- სოციოლინგვისტიკა
- ისტორია
- არქეოლოგია
- ეთნოლოგია
- კულტუროლოგია
- ლიტერატურა
- ფოლკლორი
- ხელოვნებათმცოდნეობა

სამუშაო ენები: ქართული, ინგლისური, რუსული.

კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა შესაძლებელია როგორც ზეპირი, ისე სასტენდო მოხსენების სახით.

მნიშვნელოვანი თარიღები

თეზისების წარდგენის ბოლო ვადა: 30 ივლისი, 2013 წ.

შეტყობინება მოხსენების პროგრამაში ჩართვის შესახებ: 23 აგვისტო, 2013 წ.

მოხსენებათა (სასტენდო, ზეპირი) წარდგენის ბოლო ვადა: 25 სექტემბერი, 2013 წ.

თეზისების წარდგენის წესი

მოცულობა: არაუმეტეს 500 სიტყვისა ერთ ენაზე, სამუშაო ენებიდან ორ ენაზე

შრიფტი: ქართულისათვის – Sylfaen, ინგლისურისა და რუსულისათვის – Times New Roman.

შრიფტის ზომა: 12, სტრიქონებს შორის ინტერვალი: 1,5.

ფორმატი: როგორც MS Word, ასევე PDF.

თეზისები როგორც ქართულ, ისე ინგლისურ და რუსულ ენებზე გამოგზავნეთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: congress@tsu.ge

კონგრესის მონაწილის სარეგისტრაციო გადასახადი: \$40.

რეგლამენტი

პლენარული სხდომის მოხსენება – 25 წუთი

პრეზენტაცია – 20 წუთი

კავკასიოლოგთა III საერთაშორისო კონგრესი
„მულტიკულტურალიზმი და ტოლერანტობა კავკასიაში“
23-26 ოქტომბერი, 2013

სექციური სხდომის მოხსენება – 20 წუთი

მსჯელობა – 5 წუთი

კონგრესზე წაკითხული მოხსენებები დაიბეჭდება საერთაშორისო სამენოვან ჟურნალში „კავკასიოლოგიურ ძიებანი“.

კონგრესში მონაწილეობის მსურველებმა გთხოვთ შეავსოთ ანკეტა და თეზისთან ერთად (ანკეტისათვის იხ. [ბმული](#)) გამოგზავნოთ შემდეგ მისამართზე: congress@tsu.ge

კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით მიმართეთ საორგანიზაციო კომიტეტს ელექტრონულ მისამართზე: congress@tsu.ge

კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტი

ცირა ბარამიძე - კონგრესის თავმჯდომარე, თსუ სრული პროფესორი;

მერაბ ჩუხუა - კონგრესის სამეცნიერო ხელმძღვანელი, თსუ ასოცირებული პროფესორი;

ნინო აბესაძე - საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, დოქტორანტი;

ევგენია ქურთიშვილი - კონგრესის კოორდინატორი, დოქტორანტი;

მაკა თეთრაძე - საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი, დოქტორანტი.